Community-led Urban Strategies in Historic Towns (COMUS)

Funded by the European Union and the Council of Europe

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

Implemented by the Council of Europe

თემის მიერ მართული ურბანული სტრატეგიები ისტორიულ ქალაქებში (COMUS)

კურკოს ტყე

წინასწარი ტექნიკური შეფასება

დუშეთი,

საქართველო 2016

1. შესავალი

1.1. ქვეყანა ან ტერიტორია: საქართველო
1.2. ორგანიზაციის სახელი, რომელიც აგროვებს ინფორმაციას: დუშეთის მუნიციპალიტეტი
1.3. საკონტაქტო სახელი: თორნიკე ასაბაშვილი
1.4. ელ.ფოსტის მისამართი: tornike_asabashvili@gmail.com
1.5. ობიექტის სახელი და მისამართი: კურკოს ტყე, დუშეთი, საქართველო.
1.6. მითითებული საინვენტარიზაციო ნომერი/ნომრები: არ გააჩნია ძეგლის სტატუსი.
1.7. შენობის/მონუმენტის/სანახაობის ტიპი: ბუნებრივ-ლანდშაფტური
1.8. მთავარი თარიღები: 1951
1.9. ამჟამინდელი გამოყენება: სარკრეაციო-ლანდშაფტური ზონა.

სურ 1: კურკოს ტყის ბილიკები, ჯეკო დამაცალაშვილი, 2017

2. შეჯამება: ობიექტი და მისი მართვა

კურკოს ტყე დუშეთის ისტორიულ ცენტრს გარს ერტყმის აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით. იგი 1951 წელს გაშენდა საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს დუშეთის სატყეო მეურნეობის ძალისხმევით ძირითადად ფიჭვით, იფნით, კაკლისა და მუხის შერეული კორომებითაა წარმოდგენილი. მე-19 საუკუნისთვის დუშეთის გარშემო ბუნებრივი ტყეები უკვე გაჩეხილი იყო სასოფლო-სამეურნეო მიზნებისა და შეშისთვის. კურკოს ტყე საბჭოთა ხელისუფლების მიერ წარმოებული მასიური ხელოვნური გატყიანების სამუშაოების ერთ ერთი წარმატებული მაგალითია,

დღეისათვის კურკოს ტყე წარმოადგენს ქალაქის ბუნებრივი გარემოს ხარისხის განმსაზღვრელ უმნიშვნელოვანეს ელემენტს და სარეკრეაციო რესურსს. იგი ადვილად მისაწვდომია ქალაქის ცენტრიდან და, მიუხედავად იმისა, რომ იქ არ არსებობს სათანადო სარეკრეაციო ინფრასტრუქტურა (ბილიკები, მანიშნები, სანაგვე ურნები, განათება, მოწესრიგებული საპიკნიკე ან საკარვე ადგილები), იგი ადგილობრივი მოსახლეობის საყვარელ დასასვენებელ ადგილს წარმოადგენს, პიკნიკების, სპორტული და სხვა სარეკრეაციო აქტივობებისთვის. ვიზიტორების მიერ დანაგვიანება ტერიტორიის ერთ ერთი ძირითადი პრობლემაა. მიუხედავად ადგილობრივი ახალგაზრდებისა და მუნიციპალიტეტის მიერ წარმოებული დასუფთავების კამპანიებისა, ტერიტორიიდან ნარჩენების გატანა ერთ ერთ პრობლემად რჩება.

დუშეთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით (დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2016 წელს) ტერიტორიას განსაზღვრული აქვს ლანდშაფტურ-სარეკრეაციო და სარეკრეაციო ზონის სტატუსი, შესაბამისად აქ მიწათსარგებლობა და მშენებლობა იზღუდება არა მხოლოს ტყის კოდექსით, არამედ ადგილობრივი ქალაქმშენებლობითი რეგულაციებითაც.

ქალაქ დუშეთის სამომავლო სარეკრეაციო პოტენციალის განვითარების თვალსაზრისით კურკოს ტყეს მნიშნელოვანი როლი ენიჭება. ტყეში მინიმალური ინფრასტრუქტურის მათ შორის საფეხმავლო, საველოსიპედო, საცხენოსნო ბილიკების მოწყობა შექმნიდა მთელი წლის განმავლობაში ტერიტორიის სარეკრეაციო გამოყენების შესაძლებლობას. ამ მიზნით, ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსულტაციით ტექნიკური ჯგუფის მიერ მომზადებულ იქნა შესაბამისი მარშრუტების რუკა. აღნიშნული მარშრუტები მიჰყვება მოსახლეობისაგან უკვე გაკვალულ არსებულ ბილიკებს და ფარავს დაახლოებით 9-10 კილომეტრის მანძილს სირთულის სხვადახვა დონით, უმეტესად მცირე დახრილობის რელიეფზე.

აღნიშნული ბილიკები აღჭურვილ უნდა იქნეს სტანდარტული ტურისტული ინფრასტრუქტურით (მკაფიო მანიშნები, პანორამული გადმოსახედი, სანაგვე ურნები, საპიკნიკე არეა, სხვ.). შესაძლებელია ასევე საკარვე ადგილის შერჩევა, ისეთი სტუმრებისთვის, ვისაც ურჩევნია ღია ცის ქვეშ ქალაქთან ახლოს ბუნებაში დარჩენა. ყველა ეს შესაძლებლობა მეტად გაამდიდრებდა ვიზიტორთა გამოცდილებას, და ასევე გააუმჯობესებდა ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდების ცხოვრების ხარისხს. ღია ცის ქვეშ აქტივობების შეთავაზებით, პროექტი ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის წახალისებას ახალგაზრდებს შორის. ცხენოსნობა, რაც მთიელებს შორის პოპულარული ტრადიციაა, მთის ველოსპორტი, გამაჯანსაღებელი სირბილი, შეიძლება ადვილად გახდეს პოპულარული, თუკი ელემენტარული პირობები და უსაფრთხოება დაცული იქნება. საცხენოსნო ბილიკების თემა უკავშირდება ასევე ძველი სტანციის განვითარების საკითხს, რომელიც ძველი სამხედრო გზის ერთ ერთი სადგური იყო მცირე სასტუმროთი მგზავრების დასასვენებლად და თავლებით ცხენების შესაცვლელად. ძველ სამხედრო გზაზე საცხენოსნო და სამთო საველოსიპედო მარშრუტების განვითარება და მათი დაკავშირება ყოფილ სტანციასთან სამომავლო მსჯელობისა და მუშაობის საგანია.

კურკოს ტყის ინფრასტრუქტურის მართვა შესაძლებელია როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის, ასევე ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ. სპეციფიკური სერვისები კი, როგორიცაა ცხენების/ველოსიპედების გაქირავება, ა.შ. მოწოდებულ იქნება ადგილობრივი მეწარმეებისგან.

3. ადმინისტრაციული ინფორმაცია

3.1. პასუხისმგებელი ორგანოები

კურკოს ტყე იმყოფება სახელმწიფო საკუთრებაში და მასზე ზრუნვა სახელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურების პასუხსიმგებლობაა. ტერიტორიებს განკარგავს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო. კერძოდ, მცხეთა-მთიანეთის სამხარეო სამსახური. ტყის მცირე მონაკვეთი (71.51.02.239) სახელმწიფო შპს. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია-ს საკუთრებაშია. ტყის მიმდებარე ე.წ. სასროლეთი ასევე სახელმწიფო საკუთრებაშია, რომლის ნაწილი გადაცემული აქვს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (71.51.02.362, 71.51.02.593), სასროლეთის მიმდებარედ განთავსებული სასოფლო სამეურნეო ნაკვეთები დუშეთის და მიმდებარე სოფლების მოსახლეობის მიერ გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო მიზნებით.

3.2. შენობა/ტერიტორია, სახელი და მისამართი

კურკოს ტყე, ქ. დუშეთი, დუშეთის მუნიციპალიტეტი, მცხეთა-მთიანეთის მხარე, საქართველო.





რუკა 1. და 2. კურკოს ტყე, საკადასტრო მონაცემები, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 01. 2017

3.3. კარტოგრაფიული ინფორმაცია

X: 42 088410

Y: 44 706128

3.4. ძეგლის ტიპი

ბუნებრივ-ლანდშაფტური

3.5. საკუთრება

სახელმწიფო საკუთრება. განკარგავს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ეროვნული სატყეო სააგენტო. მცირე ნაკვეთი ეკუთვნის შპს. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას (იხ. რუკა 1 და 2).

3.6. სავალდებულო დაცვა/შეზღუდვები

კურკოს ტყის ტერიტორიაზე ვრცელდება საქართველოს ტყის კოდექსით გათვალისწინებული შეზღუდვები, ასევე საინჟინრო კომუნიკაციების (წყალმომარაგების ქსელი) უსაფრთხოების დაცვის შეზღუდვები. ადგილობრივ დონეზე აღსანიშნავია ქ. დუშეთის მიწათსარგებლობის გეგმა, რომლის მიხედვითაც ტერიტორიის ნაწილს განსაზღვრული აქვს ლანდშაფტურ-სარეკრეაციო სტატუსი (ლრზ), ნაწილს კი - სარეკრეაციო ზონის სტატუსი (იხ. რუკა 2 და 3). ტექნიკური რეგლამენტის-დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის #59 დადგენილების შესაბამისად ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა:

„წარმოადგენს დასახლების (ადმინისტრაციულ) საზღვრებში ბუნებრივი ლანდშაფტის ან ფასეული ხელოვნური ლანდშაფტის ტერიტორიას, სადაც შესაძლებელია მისი ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი შენობა-ნაგებობების არსებობა კანონმდებლობის შესაბამისად.“ (მუხლი 12, პუნქტი 1)

ხოლო სარეკრეაციო ზონა:

„წარმოადგენს სარეკრეაციო ზონას, რომელიც მდებარეობს განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში და მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას (მაგ. პარკი, ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი), ღია სათამაშო მოედნებს და მსგავსი ტიპის სხვა ტერიტორიებს, სადაც შესაძლებელია სარეკრეაციო ზონის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი შენობა-ნაგებობების არსებობა კანონმდებლობის შესაბამისად“ (მუხლი 12, პუნქტი 3).



N		N	
001	422.33	239	574.98
002	379.83	272	529.63
004	399.83	275	1467.87
006	1185.31	277	690.75
008	400.36	278	1655.87
009	1201.13	280	225.51
011	465.09	281	580.06
014	652.06	286	436.94
015	399.94	292	600.01
016	709.91	298	4884.40
017	503.76	300	1695.48
018	502.65	309	804.35
019	95.02	310	400.44
023	1322.34	315	1280.04
023	311.22	317	631.17
024	342.08	320	40.36
025	552.05	322	722.68
025	6009.29	323	722.68
028	4786.67	328	1056.42
029	1440.98	329	132.63
032	850.37	330	2041.52
035	502.00	331	400.75
036	974.67	443	27.05
037	498.70	450	1500.33
041	399.59	451	5200.79
042	2238.42	453	1112.63
044	600.18	461	1501.19
045	271.64	517	517.86
222	2000.12		

რუკა 3. და 4 ქ. დუშეთის მიწაღსარგებლობის გენერალური გეგმა, კონკრეტული ფუნქციური ზონირების რუკა და ზოგადი ფუნქციური ზონირების რუკა, დუშეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა, 2016



4. ფიზიკური მდგომარეობის შესახებ დასკვნა

4.1 ფიზიკური მდგომარეობის შეფასება - ძალიან ცუდიდან კარგისკენ

(ნანგრევი, ძალიან ცუდი, ცუდი, საშუალო, კარგი, ძალიან კარგი)

კარგი

4.2 რისკის შეფასება - A-H

(მაღალი რისკი - A, საშუალო - B, დაბალი - C, რისკის გარეშე -D)

C

4.3 პრიორიტეტი ინტერვენციისთვის- მაღალი/საშუალო/დაბალი

B

5. არსებული ინფორმაცია

5.1. დოკუმენტური რესურსები

ობიექტის შესახებ დოკუმენტური მონაცემები მწირია. ტერიტორიის შესახებ მასალები დაცულია ეროვნული სატყეო სააგენტოს არქივში და მცხეთა-მთიანეთის სამხარეო სამსახურში. ბოლო დეტალური სატყეო ინვენტარიზაციის მონაცემები შემორჩენილია 1986 წლიდან (სურ), რის შემდეგაც რეინვენტარიზაცია აღარ მომხდარა[1]. ინფორმაცია კურკოს ტყის შესახებ ასევე მითითებულია საბჭოთა პერიოდის ტოპორუკებზე (სურ.)



რუკა 5: დუშეთის ტყეთმოწყობის გეგმა, 1986, ეროვნული სატყეო სააგენტო

რუკა 6: ტოპოგრაფიული რუკა, 1970

[1] საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს დუშეთის სატყეო მეურნეობის ტყის მეურნეობისა ორგანიზაციისა და განვითარების პროექტი, 1986, ტომი 2, დუშეთის სატყეო

5.2. ბიბლიოგრაფია

გამომდინარე იქიდან, რომ კურკოს ტყე არ წარმოადგენდა განსაკუთრებული სამეცნიერო ინტერესის საგანს, ამ ობიექტზე ლიტერატურის მოძიება კვლევის ფარგლებში ვერ მოხერხდა. მოძიებულ იქნა დოკუმენტაცია ეროვნული სატყეო სააგენტოდან და კვლევები რომელიც დუშეთის მუნიციპალიტეტის გარემოსდაცვით და კლიმატურ მგომარეობას ეხება.

- თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია (2016) კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაცია და ზემოქმედების შერბილება ადგილობრივ დონეზე, თბილისი http://nala.ge/uploads/dusheti.pdf
- მწვანე ალტერნატივა (2016) ტყის და სატყეო მიწების მართვა საქართველოში, კანონმდებლობის და პრაქტიკის შეფასება, თბილისი http://greenalt.org/wp-content/uploads/2016/06/tyisa_da_satyeo_miwebis_marTva.pdf
- მაჭარაშვილი, ი. (2009), საქართველოს სატყეო სექტორი, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი

5.3. უკვე ჩატარებული საველე სამუშაო

ტერიტორიის რეგულარულ მონიტორინგს და დაცვას აწარმოებს ეროვნული სატყეო სააგენტოს მცხეთა მთიანეთის სამხარეო სამსახურის დუშეთის სატყეო განყოფილება. სხვა სამუშაოები, გარდა მუნიციპალიტეტის ან ადგილობრივი სკოლების ორგანიზებით ჩატარებული პერიოდული დასუფთავების ღონისძიებებისა, ბოლო პერიოდში ადგილზე არ განხორციელებულა.

5.4. მიმდინარე პროექტები

არ მიმდინარეობს.

5.5. უკვე დაგეგმილი პროექტები

ამ ტერიტორიაზე პროექტები დაგეგმილი არ არის.

5.6. უკვე შესრულებული ფინანსური ხარჯთაღრიცხვა

არ არსებობს.

6. PTA-ს ფარგლები

6.1. შეფასების მოცულობა/შინაარსი

ბარათზე მუშაობდა ადგილობრივ ექსპერტთა ჯგუფი, რომელთად ძირითადად შეაფასეს ტერიტორიის ამჟამინდელი მდგომარეობა და განსაზღვრეს ჩარევის სასურველი ფორმები. სამუშაო პროცესში გავლილ იქნა კონსულტაციები ეროვნული სატყეო სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის მხარის სატყეო სამსახურის წარმომადგენლებთან (დავით ალადაშვილი სამსახურის უფროსი, კობა მწითური, მთავარი მეტყევე).

6.2. კვლევის შეზღუდვა

საკვლევი პერიოდის სიმცირის გამო, ვერ მოხდა ტერიტორიის საინჟინრო შესწავლა.

7. PTA

7.1. კონტექსტი: ფორმა, ფუნქცია და ევოლუცია

7.1.1. შემაჯამებელი აღწერა :

კურკოს ტყე გარს ერტყმის ქალაქ დუშეთის აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან. მისი საერთო ფართობი 33.8 ჰექტარია. ტყე ხელოვნურად იქნა გაშენებული 1951 წელს, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს დუშეთის სატყეო მეურნეობის მიერ. ძირითადად გამოყენებულია ფიჭვი, კაკალი, იფნი და მუხა.

დღეისათვის კურკოს ტყე უკვე ბუნებრივ ეკოსისტემას წარმოადგენს, კარგად ჩამოყალიბებული ნიადაგით და განვითარებადი ქვეტყით. მეტყევეების აქტიური მუშაობისა და მუდმივი ზედამხედველობის შედეგად, მათ შორის ადგილობრივი მოსახლეობის შეგნებული დამოკიდებულების წყალობით კურკოს ტყე დღემდე პრაქტიკულად უნაკლოდ იქნა შემორჩენილი და დუშელების საყვარელ სარეკრეაციო სივრცეს წარმოადგენს. ადგილობრივების მიერ აქ საკუთარი ძალებით მოწყობილია სავარჯიშო მოედანი, საპიკნიკე ადგილი. დღეისათვის ძირითადი პრობლემა ტერიტორიის რეგულარული დასუფთავება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაა.

რადგანაც ტერიტორია სახელმწიფოა და განიკარგება ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ, მუნიციპალიტეტი ნაკლებად არის ჩართული ამ ტერიტორიის მოვლა-პატრონობასა და განვითარებაში. მეორეს მხრივ სატყეო სააგენტოს ჯერჯერობით არ გააჩნია ტყითსარგებლობის მანდატი, რაც ასევე მოიცავს ტურისტულ-სარეკრეაციო ფუნქციით სარგებლობას. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები ინიცირებულია და სავარაიდოდ ძალაში შევა 2017 წლიდან, რაც შესაბამისად შესაძლებელს გახრდის ტყის სააგენტოს უფრო აქტიურ ჩართულობას კურკოს ტყეს ტურისტულ-სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

7.1.2. ისტორიული განვითარება

კურკოს ტყე ხელოვნურად იქნა გაშენებული მე-20 საუკუნის შუა წლებში. 1986 წლის ტყეთმოწყობის გეგმიდან და სატაქსაციო აღწერილობიდან ჩანს, რომ ტყე 1951 წელს გაუშენებიათ. სამუშაოები წარმოებდა საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს დუშეთის სატყეო მეურნეობის მიერ.

ახალგაზრდა კორომი 10 წლის განმავლობაში ექვემდებარება განსაკუთრებული დაკვირვების და მოვლის რეჟიმს. კურკოს ტყემ წარმატებით განვლო ეს პერიოდი და დღეისათვის პრაქტიკულად უკვე ბუნებრივ ეკოსისტემას წარმოადგენს, კარგად ჩამოყალიბებული ნიადაგით და ქვეტყით.

მუდმივი ზედამხედველობი კურკოს ტყე შედარებით მცირედ დაზიანდა უნებართვო ჭრებით 1990 იანი წლების კრიზისის დროს. 1995-96-97 წლებში ასევე ჩატარდა სამუშაოები მავნებლების საწინააღმდეგოდ. აქტიური მუშაობისა და მუდმივი ზედამხედველობის შედეგად, მათ შორის ადგილობრივი მოსახლეობის შეგნებული დამოკიდებულების წყალობით კურკოს ტყე დღემდე პრაქტიკულად უნაკლოდ იქნა შემორჩენილი და დუშელების საყვარელ სარეკრეაციო სივრცეს წარმოადგენს.

სურ 2: კურკოს ტყის ბილიკები, ჯეკო დამაცალაშვილი, 2017

7.2. მნიშვნელობა

კურკოს ტყეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს დუშეთისთვის, როგორც ეკოლოგიური, ასევე სარეკრეაციო თვალსაზრისით. იგი ერთადერთი ტყიანი მასივია, რომელიც უშუალოდ ემიჯნება ქალაქის დასახლებულ ტერიტორიას, მათ შორის ისტორიულ ცენტრს, და ადვილად ხელმისაწვდომია ადგილობრივი მოსახლეობისა და ვიზიტორებისთვის. შერეული ფოთლოვანი და ფიჭვნარი კორომები ქალაქის მიკროკლიმატისა და ჰაერის ხარისხის უმთავრესი განმსაზღვრელია.

7.3. მოწყვლადობა/ რისკის შეფასება

კურკოს ტყე სპეციალისტების მუდმივი ზედამხედველობის ქვეშაა. აქ ყოველდღიურად მორიგეობენ დუშეთის სატყეო უბნის ტყის მცველები. შესაბამისად ტყის დაზიანების, უკანონო ჭრის რისკები ძალიან დაბალია. რეგულარული ზედამხედველობით ასევე ხდება მავნებლების/დაავადებების დროული გამოვლენა და ლიკვიდაცია. ფორ-მაჟორის სიტუაციებში (მაგ. ტყის ხანძარი) ასევე მობილიზაციას ახდენს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი. საერთო ჯამში, კურკოს ტყე კარგ მდგომარეობაშია და რისკები მეტად მცირეა.

7.4. ტექნიკური მდგომარეობა

დღეისათვის კურკოს ტყის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ტყე კარგადა განვითარებული და პრაქტიკულად უკვე ბუნებრივ ეკოსისტემას წარმოადგენს განვითარებული ნიადაგითა და ქვეტყით. ამასთან აღსანიშნავია, რომ ბოლო 30 წლის განმავლობაში არ მომხდარა რეინვენტარიზაცია.

ქალაქთან სიახლოვიდან გამომდინარე კურკოს ტყე აქტიურად გამოიყენება სარეკრეაციო ფუნქციით, ადგილობრივების მიერ საკუთარი ძალებით მოწყობილია სპორტული მოედანი, გაკვალულია ბილიკები. ამასთან, აქტიური გამოყენების გამო ასევე ხდება ტერიტორიის დანაგვიანება ნარჩენებით.





სურ 3. და 4. : კურკოს ტყის ბილიკები, შადი ჰადადი, 2017

7.5. მოთხოვნილი შეკეთების შეჯამება

პირველ ყოვლისა საჭიროა ტყის რეინვენტარიზაცია და მოვლის ახალი სამოქმედო გეგმის შედგენა. გამომდინარე ქალაქთან სიახლოვიდან, ასევე აუცილებელია სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, მართვის მექანიზმის ჩამოყალიბება და პასუხისმგებლობების გადანაწილება სატყეო სააგენტოსა და მუნიციპალიტეტს შორის. რაც ასევე გულისხმობს ტერიტორიის რეგულარული დასუფთავების პრობლემის გადაჭრას.

7.6. კონსერვაცია/რეაბილიტაციის პოლიტიკა და შეთავაზება

7.6.1. ტერიტორიის განვითარების ხედვა

კურკოს ტყე მოიაზრება როგორც ქალაქის ახლომდებარე სარეკრეაციო რესურსი, რომლის სარეკრეაციო პოტენციალის განვითარება დაეხმარება ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის წახალისებას, დასვენებისა და რეკრეაციის ჯანსაღი ფორმების განვითარებას განსაკუთრებით მოსახლეობის ისეთი პრიორიტეტული ჯგუფებისთვის, როგორიცაა ბავშვები და ახალგაზრდები. ტერიტორიებზე საფეხმავლო, საველისიპედო და საცხენოსნო ბილიკების მოწყობა, სპორტული მოედნის, საპიკნიკე და საკარვე ადგილების მოწყობა დაეხმარება როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე დუშეთში ჩამოსულ დამსვენებლებს გაატარონ თავისუფალი დრო ბუნებაში.



რუკა 7: დუშეთის პრიორიტეტული ქმედებები, ისტორიული ცენტრი და კურკოს ტყის ბილიკების სქემა

7.6.2. კონსერვაციის ფილოსოფია

ტერიტორიაზე ჩარევა უპირველეს ყოვლისა მოითხოვს ტყის დაცვის მაქსიმალურ უზრუნველყოფას, არსებული გამწვანების შენარჩუნებას, მოვლას და დაცვას.

სარეკრეაციო ინფრასტრუქტურა არ უნდა არღვევდეს და არ უნდა აზიანებდეს ბუნებრივ გარემოს, ჩამოყალიბებულ ჰაბიტატს. ინფრასტრუქტურული ელემენტები უნდა იყოს მინიმალისტური და ამასთანავე მაქსიმალურად ბუნებრივი და თავსებადი მასალის.

ინფრასტრუქტურული პროექტის შემუშავებისას დეტალურად უნდა მოხდეს ტყის საფარის და ბიომრავალფეროვნების სხვა ფორმების არსებული მდგომარეობის შესწავლა, აღწერა - ფიქსაცია, მათი დაცვისა და შენარჩუნების პირობების დადგენა. მხოლოდ ამგვარი კვლევის საფუძველზე უნდა მომზადდეს სათანადო საპროექტო წინადადება.

სურ 5. და 6. : კურკოს ტყე, შადი ჰადადი, 2017

7.6.3. ინტერვენციის დონე

ჩარევის დონე უნდა იყოს მინიმალური, რათა არ მოხდეს ჩამოყალიბებული ეკოსისტემის დაზიანება-დეგრადირება. გამოყენებულ უნდა იქნას მოსახლეობის მიერ უკვე გაკვალული და გამოყენებადი ბილიკები, მოედნები და საპიკნიკე ადგილები. ბილიკების მოწყობისას შენარჩუნებულ უნდა იქნას ბუნებრივი საფარი, იმ შემთხვევებში, სადაც ჩარევა აუცილებელი გახდება გამოყენებულ უნდა იქნას თავსებადი ბუნებრივი მასალა. უპირველეს ყოვლისა უზრუნველყოფილ უნდა იყოს ვიზიტორთა უსაფრთხოება, საორიენტაციო ნიშნები, სანაგვე ურნები. ინფრასტრუქტურული პროექტის შემუშავებისას დეტალურად უნდა მოხდეს ტყის საფარის და ბიომრავალფეროვნების სხვა ფორმების არსებული მდგომარეობის შესწავლა, აღწერა - ფიქსაცია, მათი დაცვისა და შენარჩუნების პირობების დადგენა. მხოლოდ ამგვარი კვლევის საფუძველზე უნდა მომზადდეს სათანადო საპროექტო წინადადება.

7.6.4. შესაძლო გამოყენების წინასწარი შეთავაზებები

კურკოს ტყე მოიაზრება როგორც ქალაქის ახლომდებარე სარეკრეაციო რესურსი, რომლის სარეკრეაციო პოტენციალის განვითარება დაეხმარება ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის წახალისებას, დასვენებისა და რეკრეაციის ჯანსაღი ფორმების განვითარებას განსაკუთრებით მოსახლეობის ისეთი პრიორიტეტული ჯგუფებისთვის, როგორიცაა ბავშვები და ახალგაზრდები. ტერიტორიებზე საფეხმავლო, საველისიპედო და საცხენოსნო ბილიკების მოწყობა, სპორტული მოედნის, საპიკნიკე და საკარვე ადგილების მოწყობა დაეხმარება როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე დუშეთში ჩამოსულ დამსვენებლებს გაატარონ თავისუფალი დრო ბუნებაში.

7.6.5. სოციალური გამოყენების და მდგრადი განვითარების შესაძლებლობები.

პროექტი ძირითადად სოციალური სარგებლის მოტანას ისახავს მიზნად,რადგანაც ის ორიენტირებულია ცხოვრების ხარისხის ამაღლებასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის წახალისებაზე. თუმცა მას ეკონომიკური სარგებლის მოტანაც შეუძლია, თუკი მოხდება ადგილობრივი მცირე მეწარმეების დაკონტრაქტება ისეთი სერვისებისთვის, როგორიცაა ველოსიპედების, ცხენების, საპიკნიკე ან საკარვე აღჭურვილობის გაქირავება ან გამყოლის მომსახურება, სხვ.

7.6.6. კონსოლიდაციის, შეკეთების, კონსერვაციის, აღდგენის, რეაბილიტაციის ზოგადი შეფასება

იხ. 7.3

7.6.7 საჯარო ხელმისაწვდომობა

კურკოს ტყე საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია და უნდა დარჩეს ხელმისაწვდომი, როგორც საჯარო სიკეთე.

7.6.8. სხვა სარგებელი

ბუნებაში ჯანსაღი და აქტიური დასვენების შესაძლებლობის შექმნა, და მათი ჩართვა კურკოს ტყის მოვლა პატრონობაში სასკოლო აქციების და სხვა ფორმებით, დაეხმარება ახალგაზრდებისა და ბავშვების ცნობიერების ამაღლებას ეკოლოგიურ საკითხებთან, გარემოს დაცვასთან დაკავშირებით, ხელს შეუწყობს მათი მხრიდან გარემოს დაბინძურების როგორც გლობალური საფრთხის გააზრებას და ხელს შეუწყობს მათი, როგორც „ტყის მეგობრების“ ჩამოყალიბებას.

ჯანსაღი ცხოვრების წესის წახალისება ბუნების წიაღში აქტიური და კომფორტული დასვენების შესაძლებლობის შექმნით გრძელვადიან პერსპექტივში დადებით გავლენას მოახდენს ადგილობრივი ახალგაზრდების ჯანმრთელობის ხარისხზე.

7.7. დაფინანსება

7.7.1. ბიუჯეტის საჭიროების და ფაზების ფართო შეფასება

ბიუჯეტის განსაზღვრისთვის საჭიროა წინასაპროეტო, საპროექტო (საინჟინრო-ტექნიკური კვლევა, ბილიკების დაგეგმარება, მუშა პროექტის მომზადება, ა.შ) და პროექტის რეალიზების ხარჯების განსაზღვრა.

სამუშაოს დასახელება	**მიახლოებითი ღირებულება ლარებში**
წინასაპროექტო და პროექტირების ხარჯები (გენგეგმისა და მუშა პროექტის მომზადება საჭირო საინჟინრო კომუნიკაციების ჩათვლით)	15 000₾
სამუშაოების განხორციელება	50 000₾
ჯამი	65 000 ₾

7.7.2. ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობების შეფასება

ჯერ-ჯერობით აღნიშნული პროექტისთვის არ შემუშავებულა ფინანსების მოზიდვის გეგმა.

7.7.3. შემოსავლების მიღების შესაძლებლობის შეფასება

კურკოს ტყის ინფრასტრუქტურას შეუძლია ეკონომიკური სარგებლის მოტანა, თუკი მოხდება ადგილობრივი მცირე მეწარმეების დაკონტრაქტება ისეთი სერვისებისთვის, როგორიცაა ველოსიპედების, ცხენების, საპიკნიკე ან საკარვე აღჭურვილობის გაქირავება ან გამყოლის მომსახურება, სხვ. ალტერნატიულად, ასეთი სერვისები შეიძლება მიწოდებულ იქნას ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ, 2017 წელს დაგეგმილი შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში.

7.7.4 ხომ არ გიცდიათ ამ სანახაობისთვის ან მონუმენტისთვის ფინანსების მოძიება?

არა

7.7.5 ხომ არ მიგიღიათ ამ მონუმენტზე ან სანახაობაზე დაფინანსება?

არა

7.8. მენეჯმენტი

7.8.1 პროექტის მოკლევადიანი მენეჯმენტი

გამომდინარე დაფინანსების წყაროდან ინფრასტრუქტურული პროექტის მართვა შესაძლებელია განხორციელდეს ეროვნული სატყეო სააგენტოს ან დუშეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ სააგენტოსთან შეთანხმებით.

7.8.2 პროექტის გრძელვადიანი მენეჯმენტი

გრძელვადიან პერსპექტივში ტერიტორიების მართვას უზრუნველყოფს ეროვნული სატყეო სააგენტო, დუშეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობასთან თანამშრომლობით.

8. დოკუმენტაცია

1. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს დუშეთის სატყეო მეურნეობის ტყის მეურნეობისა ორგანიზაციისა და განვითარების პროექტი, 1986, ტომი 2, დუშეთის სატყეო
2. ფოტოდოკუმენტაცია, ჯეკო დამაცალაშვილი, შადი ჰადადი, 2017

სურ 5. და 6. : კურკოს ტყე, ხედი დუშეთზე, შადი ჰადადი, 2017